განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სასურსათო ტექნოლოგია
ბაკალავრიატი

ა(ა)იპ -საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21 დეკემბერი 2018 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.02.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ა(ა)იპ**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სასურსათო ტექნოლოგია**
განათლების საფეხური	**I (ბაკალავრიატი)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული, 11.11.2011/N 271**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მანანა კევლიშვილი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო დეკანოიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მალხაზ ბერეჟიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველო**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან. საბაკალავრო პროგრამა ,,სასურსათო ტექნოლოგია" მოთხოვნადი პროგრამაა, ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი (52-დან 70-მდე). პროგრამაზე ამჟამად 278 სტუდენტი სწავლობს, კურსდამთავრებულთა საშუალო პროცენტი არის 29, ხოლო სპეციალობით მათი დასაქმება კი-72%-ია. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა სასურსათო პროდუქტების თვისებებზე, მათი წარმოების პროცესებისა და შენახვის ზოგად საფუძვლებზე; სასურსათო ტექნოლოგიაზე, სასურსათო ტექნოლოგიის კვლევების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებზე; სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ნორმებსა და რეგულაციებზე; სასურსათო პროდუქტების ხარისხის კონტროლის მეთოდებზე; კვების საწარმოთა დაგეგმვასა და დაპროექტებაზე; ასევე, გამოუმუშაოს სასურსათო ტექნოლოგიის დარგში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის შრომითი ბაზრებისათვის კვების მრეწველობის მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამამ გარკვეული ცვლილებები განიცადა აკრედიტაციიდან დღემდე. პროგრამის კურიკულუმში შევიდა სასწავლო კურსი სურსათის უვნებლობის და კულინარიის შესახებ, რომელიც დეტალურად აღწერს სასურსათო პროდუქტთა ცვლილებას თერმული დამუშავების დროს, მისი მომზადების დროს წარმოქმნილ პრობლემებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს.

სურვილის შემთხვევაში, ბაკალავრს შეეძლება სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე, განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აგრარულ უნივერსიტეტიში ,,სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა 2018 წლის 21 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პედაგოგებს, დამსაქმებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ვიზიტის დროს დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. ჩატარდა ინტერვიუები, რომლის შედეგადაც ნათელი გახდა ყველა ის საკითხი, რომელიც ექსპეტრებისთვის ბუნდოვანი იყო. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია" მთლიანობაში იმსახურებს მოწონებას. იგი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა პროგრამის დადებითი მხარეები, პროგრამას მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე არ აქვს, შედეგზე სრულად გადის და იმსახურებს დადებით შეფასებას.

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საჭიროა სასურსათო ტექნოლოგიის პროცესების უკეთ შესწავლისათვის სასწავლო კურსებში ,,ზოგადი ტექნოლოგია I“ და „ზოგადი ტექნოლოგია II“ გაფართოვდეს ჰიდრავლიკის საკითხები, რათა სტუდენტები გაეცნონ სასურსათო ტექნოლოგიაში ფართოდ გამოყენებულ ჰიდრომექანიკურ პროცესებს და შესაბამის აპარატებს. აღნიშნული რჩევა განხორციელებადია დამატებითი საგნების შემოღების აუცილებლობის გარეშე.

რამდენადაც პროგრამა არ ითვალისწინებს კოლოიდური ქიმიის ცალკე კურსს, სასურველია ზოგადი ქიმიისა და ფიზიკური ქიმიის შესაბამისი თავების სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს სასურსათო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული პროდუქტების, ნედლეულისა და სხვა მასალების, როგორც კოლოიდური სისტემების მაგალითებზე.

სასურველია სასწავლო კურსი ,,ბიოქიმია 2“ კურიკულუმის სავალდებულო ბლოკიდან გადატანილ იქნეს არჩევით ბლოკში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საწყის ეტაპზე ფაკულტეტზე ჩარიცხვა და შემდეგ მეორე წელს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა საუკეთესო პრაქტიკაა, რადგან ამ დროს სტუდენტს უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რომელი პროგრამაა მისთვის მისაღები და მოსაწონი. ჩვეულებრივ პირობებში პირდაპირ პროგრამაზე ჩარიცხვისას ზოგჯერ სტუდენტი ხვდება, რომ არა სწორი არჩევანი გააკეთა და მობილობის გზით გადადის (თუ იქნება იმ პროგრამაზე ადგილი) მისთვის სასურველ პროგრამაზე, რაც გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის მოსწრებაზე.

სასწავლო კურსების „კულინარიის ტექნოლოგიები“ და ,,ფუნქციონალური საჭმელი და ნუტრაცევტიკალები“ შეტანა პროგრამის კურიკულუმში არის საუკეთესო პრაქტიკა სასურსათო ტექნოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ,, სასურსათო ტექნოლოგია“ აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს. პროგრამა დღემდე განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს: გაიზარდა ურთიერთობა დამსაქმებლებთან, რის შედეგადაც დამსაქმებლების რეკომენდაციის საფუძველზე შეიცვალა სასწავლო კურსები, აგრეთვე დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, შეეცვალა სემესტრები ზოგიერთ სასწავლო კურსებს და

კურიკულუმში განთავსდა პრერეკვიზიტების გათვალისწინებით. გაიზარდა პრაქტიკის წილი და პრაქტიკის ობიექტები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასურსათო ტექნოლოგია“ სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან და მისი მიზანია, მომზადდეს ბაკალავრი, რომელიც იქნება ორიენტირებული, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. კურსდამთავრებულებმა იციან სასურსათო ნედლეულის გადამუშავები ფიზიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური საფუძვლები და ტექნოლოგიური და ბიოტექნოლოგიური მეთოდები; შეუძლიათ განსაზღვრონ მიღებული პროდუქტების კვებითი ღირებულება; ფიზიკურ-ქიმიური, საგემოვნო და მიკრობიოლოგიური მახასიათებლები საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად. აქვთ ინფორმაცია კვებისმრეწველობაში გამოყენებულ მანქანა-დანადგარების მოქმედების ზოგადი პრინციპების შესახებ. ამ ცოდნის საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია გადაამუშაოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რათა მიიღოს სათანადო ორგანოლეპტიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მქონე სასურსათო პროდუქტი, შეინახოს ის სათანადო პირობების დაცვით. კურსადმთავრებული შეძლებს დაგეგმოს და დააპროექტოს სხვადასხვა ასორტიმენტის სასურსათო პროდუქტების წარმოება, შეინახოს და დისტრიბუცია გაუკეთოს პროდუქციას, შეარჩიოს შესაბამისი მანქანა-დანადგარები და მომსახურე პერსონალი, გამოთვალო სწარმოების ეკონომიკური პარამეტრები. იგი შეისწავლის სასურსათო პროდუქტების სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო წესებსა და რეგულაციებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც უნივერსიტეტს ამჟამად აქვს გაცხადებული. მიზნების მისაღწევად, საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს

მიქცეული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სწორ დაგეგმვას და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს საგნის თეორიული შესწავლის პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაბმული არიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას იყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულ შესწავლას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რაც ასახულია პროგრამის მიზნებსა და უნივერსიტეტის მისიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; უნივერსიტეტის მისია; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; უნივერსიტეტის ვებგვერდი; ინტერვიუ დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება სტუდენტის ინდივიდუალური ნამუშევრით, პრეზენტაციით, ლაბორატორიული თუ სხვა სახის აქტივობების შემოწმებით.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები/საგნები. ყოველი საგნის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც საბოლოოდ გამოტანილია კომპეტენციების რუკის სახით. ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. კომპეტენციების რუკაში არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა. მაგალითად, კომპეტენციების რუკის საშუალებით გაკეთებულ მონაცემთა ანალიზის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რომ რამდენიმე სწავლის შედეგი მიიღწევა ერთი სასწავლო კურსით. კომპეტენციების რუკა ცხადად და გარკვეულად აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

კურიკულუმში მოთავსებული ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი.

შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკის გამოყენებას, რომელიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად. სწავლის შედეგები არის განაცხადი, რა ესმის, რა იცის, რას აცნობიერებს, რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების გაწერა სასწავლო კურსში ხდება პროფესორ-მასწავლებლის მიერ. სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს და ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. შეფასების სისტემა სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია. სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში გარკვეული კანონზომიერებით არის შერწყმული თეორიული და პრაქტიკული სწავლება, ასევე მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სამუშაოების თემატიკა და ამ სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე წარმატებით გასვლას. პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ღონისძიებები, რომლებიც მოსდევს პროგრამის შეფასების შედეგებს, ესენია: პრაქტიკული კურსების დამატება, პრაქტიკის კრედიტების გაზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები; ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია**			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ,სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში(ფაკულტეტი), ხოლო საგანმანათლებლო პროგრამას სტუდენტი ირჩევს ერთი წლის შემდეგ, როდესაც იგი უკვე აითვისებს ზოგად საგნებში შესაბამის კრედიტებს, ამ დროს სტუდენტმა უკვე იცის რომელი საგანმანათლებლო პროგრამაა მისთვის შესაფერისი და მოსაწონი. პროგრამაზე ჩარიცხვა არანაირი კონკურსით არ ხდება, ყველა სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ პროგრამას.

დამატებითი პირობა სასურსათო ტექნოლოგიის პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნივერსიტეტს არ გააჩნია. აბიტურიენტს დამატებით მეოთხე საგნის არჩევისთვის ფართო არჩევანი აქვს (ისტორია, გეოგრაფია, ქართული ლიტერატურა, ქიმია, ბიოლოგია). თუ სტუდენტს მეოთხე საგნად არჩეული აქვს ისტორია, ქართული ლიტერატურა ან გეოგრაფია და შესაბამისად უჭირს ქიმიის (რადგან ტექნოლოგიის დარგისთვის ქიმიის

ცოდნა ძირითადი საფუძველია) სწავლა, ადმინისტრაცია დამატებით ჯგუფებში უზრუნველყოფს სტუდენტთა ქიმიაში გაძლიერებას.

საწყის ეტაპზე ფაკულტეტზე ჩარიცხვა და შემდეგ მეორე წელს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა საუკეთესო პრაქტიკაა, რადგან ამ დროს სტუდენტს უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რომელი პროგრამაა მისთვის მისაღები და მოსაწონი. ჩვეულებრივ პირობებში პირდაპირ პროგრამაზე ჩარიცხვისას ზოგჯერ სტუდენტი ხვდება, რომ არა სწორი არჩევანი გააკეთა და მობილობის გზით გადადის (თუ იქნება იმ პროგრამაზე ადგილი) მისთვის სასურველ პროგრამაზე, რაც გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის მოსწრებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

უნივერსიტეტის ვებ.გვერდი;
ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

საწყის ეტაპზე ფაკულტეტზე ჩარიცხვა და შემდეგ მეორე წელს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა საუკეთესო პრაქტიკაა, რადგან ამ დროს სტუდენტს უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რომელი პროგრამაა მისთვის მისაღები და მოსაწონი. ჩვეულებრივ პირობებში პირდაპირ პროგრამაზე ჩარიცხვისას ზოგჯერ სტუდენტი ხვდება, რომ არა სწორი არჩევანი გააკეთა და მობილობის გზით გადადის (თუ იქნება იმ პროგრამაზე ადგილი) მისთვის სასურველ პროგრამაზე, რაც გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის მოსწრებაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აკადემიური პერსონალის, თვითშეფასების ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. ამასთანავე, პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგები, რომლებიც აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამის სტრუქტურა თანმდიმდევრული და ლოგიკურია და შინაარსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში სრული კანონზომიერებით არის განლაგებული საუნივერსიტეტო ზოგადი და სპეციალობის სასწავლო კურსები. პროგრამის 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგი სახით: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება-50 კრედიტი, მიმართულების საბაზო განათლება- 23 კრედიტი, მიმართულების ზოგადი განათლება-33 კრედიტი, სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი განათლების საგნები107 კრედიტი, პრაქტიკული განათლება -8 კრედიტი; აქედანსაველე პრაქტიკა-3 კრდიტი, ხოლო მუშაობა ორგანიზაციაში -5 კრედიტი, არჩევითი კურსები 14 კრედიტი. პროგრამის პირველი სემესტრი ძირითადად საუნივერსიტეტო ზოგად საგნებს აქვს დათმობილი, ხოლო მეორე და მესამე სემესტრიდან კი იწყება სპეციალობის სასწავლო ზოგადი კურსები (ზოგადი ბიოლოგია, ზოგადი ქიმია, ზოგადი ბიოქიმია, ზოგადი ტექნოლოგია და ა.შ), რომელსაც მოსდევს სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები. სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში გათვლილია სასწავლო კურსების პრერეკვიზიტები და მათი ადგილი სასწავლო გეგმაში. კერძოდ, ზოგადი ტექნოლოგია I-ის სასწავლო კურსი ზოგადი ტექნოლოგიისII-ის პრერეკვიზიტია, ბიოქიმია I კი ბიოქიმია II-ის პრერეკვიზიტია, კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები I პრერეკვიზიტია სასწავლო კურსის კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები II-ის. ასევე ზოგადი ბიოლოგიის და ქიმიის თეორიული სასწავლო კურსი ლაბორატორიული კურსის პრერეკვიზიტია, სპეციალობის სასწავლო კურსები საკმაოდ სრულყოფილი კრედიტებით არის შესული საგანმანათლებლო პროგრამაში.

სწორად არის შერჩეული არჩევითი სასწავლო კურსები და მათი შესაბამისი კრედიტები.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; სასურსათო ტექნოლოგიის პროგრამის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; სასწავლო კურსების სილაბუსები; ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების პირველ საფეხურს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკული სწავლების სრულყოფილად წარმართვაზე და სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის მომზადებაზე. თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ლექტორის მიერ შემუშავებულია სილაბუსი. სილაბუსი მოიცავს ყველა ინფორმაციას ამა თუ იმ სასწავლო კურსის შესახებ.

დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულია მათი რჩევები და შესაბამისად შეტანილია შემდეგი სასწავლო კურსები: ,,სურსათის უვნებლობა“, „კულინარიის ტექნოლოგიები“ და ,,ფუნქციონალური საჭმელი და ნუტრაცევტიკალები“. აღნიშნული სასწავლო კურსები მიუთითებს, რომ პროგრამის კურიკულუმი ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის გზებს. ამიტომ ამ კურსების კურიკულუმში შეტანა შესაძლებელია ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად.

სასწავლო კურსებში ,,ზოგადი ტექნოლოგია I“ და „ზოგადი ტექნოლოგია II“ მწირედ არის შეტანილი ჰიდრავლიკის საკითხები, სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული ჰიდრომექანიკური პროცესებისა და შესაბამისი აპარატების შესწავლა კი საჭიროა. პროგრამის კურიკულუმი შეიცავს რამდენიმე ბიოქიმიის სასწავლო კურსებს: ზოგადი ბიოქიმია, ბიოქიმია 2 და კვების პროდუქტების ბიოქიმია. სასწავლო კურსში ,,ბიოქიმია 2“ ძირითადად განხილულია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები, ამიტომ სასურველია ეს სასწავლო კურსი გადატანილ იქნეს აჩევით ბლოკში, რადგან სტუდენტმა თვით გადაწყვიტოს უნდა თუ არა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების შესწავლა, რომელიც სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენს.

რამდენადაც პროგრამა არ ითვალისწინებს კოლოიდური ქიმიის ცალკე კურსს, სასურველია ზოგადი ქიმიისა და ფიზიკური ქიმიის შესაბამისი თავების სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს სასურსათო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული პროდუქტების, ნედლეულისა და სხვა მასალების, როგორც კოლოიდური სისტემების მაგალითებზე. თუმცა აღნიშნული ხელს არ უშლის სტუდენტებს გავიდნენ სწავლის შედეგზე, რადგან კოლოიდები წარმოდგენილია სილაბუსში სხვა მაგალითებით, ასევე ჰიდრავლიკის საკითხები მცირე დოზით არის წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
პროგრამის კურიკულუმი;
პროგრამის სემესტრული გეგმა და სილაბუსები;

ინტერვიუ დამსაქმებელთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსი ,,ბიოქიმია 2“ კურიკულუმის სავალდებულო ბლოკიდან გადატანილ იქნეს არჩევით ბლოკში.

- რამდენადაც პროგრამა არ ითვალისწინებს კოლოიდური ქიმიის ცალკე კურსს, სასურველია ზოგადი ქიმიისა და ფიზიკური ქიმიის შესაბამისი თავების სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს სასურსათო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული პროდუქტების, ნედლეულისა და სხვა მასალების, როგორც კოლოიდური სისტემების მაგალითებზე.

სასურველია სასურსათო ტექნოლოგიის პროცესების უკეთ შესწავლისათვის სასწავლო კურსებში ,,ზოგადი ტექნოლოგია I“ და „ზოგადი ტექნოლოგია II“ გაფართოვდეს ჰიდრავლიკის საკითხები, რათა სტუდენტები გაეცნონ სასურსათო ტექნოლოგიაში ფართოდ გამოყენებულ ჰიდრომექანიკურ პროცესებს და შესაბამის აპარატებს. აღნიშნული რჩევა განხორციელებადია დამატებითი საგნების შემოღების აუცილებლობის გარეშე.

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

სასწავლო კურსების „კულინარიის ტექნოლოგიები“ და ,,ფუნქციონალური საჭმელი და ნუტრაცევტიკალები“ შეტანა პროგრამის კურიკულუმში არის საუკეთესო პრაქტიკა სასურსათო ტექნოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში 8 კრედიტი დათმობილი აქვს პრაქტიკულ განათლებას, რომელიც მოიცავს საველე პრაქტიკას (3 კრედიტი) და მუშაობა ორგანიზაციაში (5 კრედიტი). მუშაობა ორგანიზაციაში სტუდენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მას აძლევს საშუალებას განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებით, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მის ადაპტაციას, სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშებას და ახალი კომპეტენციების გამომუშავებას, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის

პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები; სასწავლო ლაბორატორიები ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას ითვალისწინებს, რაც ნიშნავს რომ სტუდენტები ეუფლებიან პროფესიას ლაბორატორიული მეცადინეობისას ინდივიდუალურად მუშაობის გზით. ეს, თავის მხრივ, დადებითად აისახება სტუდენტების სწავლის შედეგებზე. თითოეულ სტუდენტს ლაბორატორიული მუშაობისას თავისი სამუშაო სივრცე და ყველა საჭირო ხელსაწყო აქვს. შესაბამისად, ლაბორატორიული სასწავლოს ჯგუფები კომპლექტდება ამ მოთხოვნის შესაბამისად და ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს (სამუშაო ადგილების შესაბამისად).

პრაქტიკის უზრუნველსაყოფად საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში).

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებისათვის

პროგრამის ფარგლებში ისწავლება შესაბამისი საგნები (სტატისტიკა, სხვადასხვა ლაბორატორიული კურსი და ა.შ);

სასურსათო ტექნოლოგიის სტუდენტები ჩართულნი არიან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ სამეცნიერო/კვლევითი უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები; კვლევითი პროექტები; ვებ-გვერდი; ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. სასურსთო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებულია შეფასებაც, რომელიც ნათლადაა ასახული თითოეულ სილაბუსში. თეორიული სასწავლო კურსის შეფასება განსხვავებულია ლაბორატორიული სასწავლო კურსის შეფასებისაგან, ყოველი სასწავლო კურსის შეფასება მოიცავს პრეზენტაციის და ქვიზის კომპონენტს, თუმცა ზოგიერთ კურსში (პრაქტიკული კურსები) ვხვდებით განსხვავებულ შეფასების სისტემას, რომელიც გაწერილია სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების სისტემა ყოველთვის შეესაბამება სწავლის შედეგებს და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია.

შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.

სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება და მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმებს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კრიტერიუმების გამჭირვალობა, შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის სილაბუსებში გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. სილაბუსში გაწერილი რუბრიკების და ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ მიღწეული ცოდნის დონის შესაბამის როგორ შეფასებს იღებს.

შეფასების თითოეული კომპონენტისთვის გაწერილი რუბრიკები და დეტალურად აღწერილი კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები საგნის ფარგლებში.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და სხვა ტიპის ცოდნის შემოწმების ფორმები ტარდება დახურული ან/და ღია წიგნის პრინციპით.

